მეცნიერების ფემინიზაცია, როგორც სოციოლოგიური პრობლემა

სულიკო გრიგალაშვილი,
სტუ-ს პროფესორი

სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნაში გვხვდებოდნენ მეცნიერი ქალები, მაგრამ XIX საუკუნის მიწურულამდე ისინი გამონაკლისს წარმოადგენდნენ. მეცნიერის პროფესია მამაკაცის პროფესიად რჩებოდა. ქალები კვლევებში მონაწილეობას იღებდნენ მამებთან, ძმებთან და ქმრებთან ერთად. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტში იკრძალებოდა ქალების მიღება. მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჰოლანდიის უნივერსიტეტებმა დაიწყეს სტუდენტ ქალთა ჩარიცხვა, ათი წლის შემდეგ ქალთათვის უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომი გახდა ინგლისში, 1900 წელს — გერმანიაში, მაგრამ ამ დროისათვის ქალთა კვლევითი მუშაობა იშვიათი იყო.

ქალების ბრძოლა უმაღლესი განათლების უფლების მოპოვებისათვის და სამეცნიერო მუშაობაში ჩართულობისათვის მიმდინარეობდა ქალთა თანასწორუფლებიანობის დემოკრატიული მოძრაობის ჭრილში. მკვლევართა აზრით, ქალების მეცნიერებაში ჩართვა შემტევი ხასიათის იყო და დაახლოებით 1930 წლამდე შეიმჩნეოდა, მაგრამ შემდგომ დაიწყო უკუქცევის პროცესი. ქალთა ხვედრითმა წილმა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაში წინანდელ მაჩვენებელს მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ მიაღწია.

მსოფლიო მეცნიერებაში ქალთა რაოდენობის სწრაფი ზრდა იწყება გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, და გამოწვეულია უმთავრესად ქალების საგანმანათლებლო დონის ზრდით, აგრეთვე ფენიმისტური მოძრაობის აღმავლობით. თანამედროვე პერიოდში ქალების სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობა ყველაზე შესამჩნევია ა.შ.შ-ში, გერმანიაში, იტალიაში, შვეციაში, კანადაში, აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში. ამ მხრივ გარკვეული ძვრებია საქართველოშიც. ფენიმიზაციის განსაკუთრებული მაღალი ტემპი შეიმჩნევა მეცნიერების ბიოლოგიურ, ქიმიურ და სამედიცინო სფეროებში.

თუმცა მეცნიერების ფენიმიზაციის ისტორიულ პროცესს აქვს ეროვნული თავისებურებები, მისთვის დამახასიათებელია გარკვეული კანონზომიერებები. სოციოლოგიურ კონტექსტში მეცნიერებაში ქალთა შესვლა განიხილება, როგორც საზოგადოებრივ წარმოებაში, მაღალკვალიფიციურ შრომაში და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა. ამ კუთხით ეს მისასალმებელია და შესაფასებელია როგორც პოზიტიური მოვლენა. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, როცა ქვეყანაში სუფევს ეკონომიკური ქაოსი და შესამჩნევია უმუშევრობის ზრდა, მაშინ, პირველ რიგში, ზარალდებიან ქალები. ეს ეხება ქალ-მეცნიერებს, რომლებიც მამაკაცებთან თანაბარი განათლების, პროფესიონალური გამოცდილების და სამუშაო სტაჟის შემთხვევაში, უფრო ხშირად კარგავენ სამუშაო ადგილებს. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მათ ეძლევათ დროებითი სამუშაო ადგილები ან გადაჰყავთ არასრულ სამუშაო დღეზე. მაგალითისათვის, არასტაბილური ეკონომიკური სიტუაციის დროს მეცნიერებათა და ტექნიკის სფეროში უმუშევრობის დონე ამერიკელ ქალთა შორის შეადგენს – 2.7%-ს, ხოლო ამერიკელ მამაკაცთა შორის იგი – 1.3%-ია.

მეცნიერებაში ქალთა მდგომარეობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეკონომიკურ სიტუაციასთან ერთად ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური განათლების, სოციო-კულტურული ტრადიციებისა და საკანონმდებლო სისტემის დონე. მეცნიერებაში ზოგადად ქალების ხვედრითი წილი, და კერძოდ, მის ელიტურ სტრუქტურებში მაღალია იქ, სადაც კანონმდებლობა მტკიცედ ათანაბრებს მათ მამაკაცებთან. გასაკვირი არ არის , რომ იაპონიაში საკანონმდებლო სისტემა ქალებს სამსახურებრივი ზრდის გარანტიებს არ აძლევს ქორწინებისა და ბავშვის დაბადების შემდეგ, ხოლო სამეცნიერო კარიერას წინაღობას უქმნის იაპონურ ოჯახში მყარად დამკვიდრებული ტრადიცია, უპირველეს ყოვლისა, დააფინანსონ ვაჟების განათლება. ქალები არ არიან იაპონიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრთა შორის, არც ტოკიოსა და კიოტოს უდიდესი უნივერსიტეტების ზოგადსამეცნიერო ფაკულტეტების მკვლევართა შორის.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

უკანასკნელ ათწლეულში საუბარი შეიძლება მეცნიერებაში ფენიმიზაციის „ახალი ტალღის" წარმოშობის შესახებ, როცა ქალების წილი გაიზარდა მეცნიერებაში მამაკაცთა მისწრაფების შემცირების ხარჯზე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებიდან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მამაკაცების უმეტესობა უფრო პრესტიჟული სფეროებისაკენ ისწრაფვიან. კიდევ ერთი თანამედროვე ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩრდილო ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში ქალი მეცნიერი განიხილება როგორც „დამატებითი რესურსი".

როგორც უკვე აღინიშნა, ფენიმიზაცია თანამედროვე მეცნიერების სპეციფიკური სახეა. თითოეულ ქვეყანაში ეს პროცესი მიმდინარეობს ეროვნული ფაქტორების ზეგავლენითა და თავისებურებებით. ფენიმიზაციის ცალკეულ „ტალღებს" განაპირობებს კონკრეტული სოციალური გარემოებები. თუ მეორე „ტალღა" მეცნიერების აღმავლობის ფონზე მიმდინარეობდა, მესამე, როგორც ჩანს, უახლესი წლების დომინანტურ პროცესთან – მამაკაცების ჩამოცილებასთან – არის დაკავშირებული. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში, რომელშიც აღმოჩნდა მეცნიერება და განათლება, თანმიმდევრული და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის არქონამ, უმაღლესი სკოლის პედაგოგისა და მეცნიერის პრესტიჟის დაცემამ ამ სფეროებიდან ინტელექტუალური ელიტის გადინება გამოიწვია უფრო პერსპექტიულ და მაღალანაზღაურებად სფეროებში.

საყოველთაოდ ცნობილია ქალთა არცთუ მაღალი პროფესიონალური და მობილობის დონე. ისინი ინერციით რჩებიან თავიანთ სამუშაო ადგილებზე, კმაყოფილდებიან მინიმალური სახელფასო ანაზღაურებით (უმრავლეს შემთხვევაში), და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მცირე დატვირთვით. უმაღლესი სასწავლებლის მუშაობა მოიცავს არამარტო სამეცნიერო საქმიანობას, არამედ სწავლებასაც. სწორედ სწავლებას აყენებენ პირველ ადგილზე ქალები, სამეცნიერო -კვლევითი მუშაობა კი განიხილება როგორც დამატებითი საქმიანობა. ცნობილია, რომ არსებობს სამეცნიერო დისციპლინათა კლასიფიკაცია სქესის მიხედვით. გამოყოფენ „მამაკაცურ", „ნეიტრალურ" და „ქალთა" მეცნიერებებს. პირველს მიეკუთვნება ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერებები, ტექნიკური და კომპიუტერული დისციპლინები,გეოლოგია. მეორეს მიეკუთვნება ქიმიურ და ბიოლოგიურ მეცნიერების დარგები (ფიზიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა). მესამე – ეს სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერებებია. რასაკვირველია, დაყოფა პირობითია. ერთ-ერთი პუბლიკაციის მიხედვით, „მამაკაცურ" სფეროში სამეცნიერო სტატუსის მქონე მამაკაცისა და ქალის შეფარდება შეადგენს 25:1 დან 6:1 მდე. „ნეიტრალურში" 5:1 დან 3:1 მდე, ხოლო „ქალთა" სფეროში 2:1.

ამერიკელი მკვლევარის დ. მაკ-კლელანდის მონაცემებით, რომელიც კარიერის საკითხებს სწავლობს, ჩართულობის მოტივი უფრო ქალებისათვისაა დამახასიათებელი, ვიდრე მამაკაცებისათვის. ის ყალიბდება საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის, სოციალურ და პროფესიონალურ გარემოცვაში ყოფნის მისწრაფებით. მამაკაცების შემთხვევაში კი, წინა პლანზე სხვა ამოცანები დგება - მატერიალური უზრუნველყოფა, სტატუსის ამაღლება, სხვა მამაკაცთა მხრიდან აღიარება. ახლა კი მამაკაცები მისი რეალიზებისათვის ნაკლებად შრომატევად და მაღალანაზღაურებად დარგებს ეძებენ.

ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა პრესტიჟი. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში კვლავ დომინირებს აზრი სამეცნიერო კარიერის პრესტიჟულობის შესახებ. თვით პოსტსაბჭოურ სივრცეში მასობრივ აზროვნებაში პრესტიჟულობის ცნება არ წაშლილა. როგორც კვლევები გვიჩვენებენ, შემოქმედებითი თვითგამოხატვის გარდა მოქმედებს სხვა მოტივეებიც, მათ შორის მოქნილი სამუშაო გრაფიკის არსებობა, რაც საჯარო სფეროში დამატებითი საქმიანობის საშუალებას აძლევს.

ზემოჩამოთვლილი მეცნიერების ფენიმიზაციის ზოგიერთი მიზეზია. ფაქტორთა ჩამონათვალი, რომალიც იწვევს სამეცნიერო კარიერაზე ორიენტირებულ ქალთა რიცხვის ზრდას, შემდგომში შეიძლება გაიზარდოს ახალი ემპირიული კვლევების საფუძველზე.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერების ფენიმიზაციის შედეგი არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, ქალთა მონაწილეობა დასაქმების ნაკლებადანაზღაურებად სფეროს სტაბილურს ხდის. ფსიქოლოგების აზრით, შერეულ კოლექტივში უფრო სასურველი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატია, ნაკლებია კონფლიქტი. მეორე მხრივ, სამეცნიერო კადრების ზედმეტი ფენიმიზაცია მიზანშეუწონელია სამეცნიერო მოღვაწეობის ეფექტურობის თვალსაზრისით. როგორც სპეციალისტები თვლიან, ტექნიკურ დარგებში ქალთა რაოდენობამ გადაჭარბა რაციონალურ დონეს. თვალშისაცემია აღნიშნული პრობლემატიკის ღრმა ანალიზის აუცილებლობა. მანამდე ეს მხოლოდ სოციოლოგიის პრობლემური ველის სიახლეა.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

გამოყენებული ლიტერატურა

1. Женщина. Гендер. Культура (отв. Редактор Хоткина З.М.) М. 1999г.
2. Мирская Е.З. Мартынова Е.А. Женщина в науке. (Вестник РАН. Август 2004)
3. Душацкий Л.Е. самореализация ученого в реформируемой науке. условия. Проблемы. путь решения. Институт социологий РАН. М. 1993.

FEMINIZATION OF A SCIENCE AS A SOCIAL PROBLEM

SULIKO GRIGALASHVILI
GTU professor

The article examines the struggle of women gaining the right for higher education. It also indicates the historical process of the National Science feminizats is characteristics and patterns. Expresses the opinion that the process continues.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com